



საჩუქრების შესახებ

პოლიტიკა

FCC ჯგუფი



## სარჩევი

0. ვერსიის ისტორია .....	3
1. შესავალი.....	4
2. გამოყენების სფერო.....	4
3. ზოგადი პრინციპები .....	4



## 0. ვერსიის ისტორია

ვერსია	თარიღი	დირექტორთა საბჭო
30 ივლისი, 2019	30 ივლისი, 2019	დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს მიერ, 2019წ ივლისის სხდომა



## საჩუქრების შესახებ

### პოლიტიკა

### FCC ჯგუფი

#### 1. შესავალი

ჩვეული კომერციული ან თავაზიანობის პრაქტიკის გათვალისწინებით, წეს-ჩვეულების ფარგლებში, შესაძლოა მოხდეს ბრენდის პოპულარიზაციის ხელშემწყობი საჩუქრების გაცემა ან მიღება, ყურადღების და თავაზიანობის გამოხატვა.

FCC ჯგუფი მიზნად ისახავს არა მხოლოდ კანონის მკაცრი დაცვის უზრუნველყოფას ყველა დონეზე, არამედ ასევე ამატებს სამაგალითო პრინციპებს, რომელიც ჯგუფის საქმიანობას ყოველგვარი რისკის მიღმა აყენებს, როგორც შეუსაბამობის, ასევე არაეთიკური ქცევის კუთხით. პატიოსნება და საკანონმდებლო შესაბამისობა და კომპანიის წესების პატივისცემა მუდმივი მახასიათებელი უნდა იყოს ყველა თანამშრომლის ყოველდღიურ საქმიანობაში.

FCC ჯგუფის ეთიკისა და ქცევის კოდექსი ადგენს ნულოვანი ტოლერანტობის პრინციპს მექრთამეობისა და კორუფციის მიმართ და პირდაპირ კრძალავს მესამე მხარეზე ზემოქმედებას უპირატესობის ან პრიორიტეტული მოპყრობის მოპოვების მიზნით. ამ მიზეზით, აუცილებელია FCC ჯგუფმა გონივრულად დაარეგულიროს საჩუქრების მიწოდებისა და მიღების პრაქტიკა.

ჯგუფის საქმიანობის დიდი ნაწილი დაკავშირებულია საჯარო სექტორის მიერ გამოცხადებულ ტენდერებთან, რაც ხაზს უსვამს ქცევის წესებზე დაკვირვების საჭიროებას, რომელიც დაიცავს კომპანიას ნებისმიერი ეჭვისგან მისი ეთიკური ქცევასთან დაკავშირებით.

ანალოგიურად, FCC ჯგუფი რეგულარულად აფორმებს სხვადასხვა სახის ხელშეკრულებებს დიდი რაოდენობით მომწოდებლებთან და ორგანიზაციებთან, რათა დაფაროს მისი საჭიროებები საქონელსა და მომსახურებასთან დაკავშირებით. FCC ჯგუფის ერთგულება თავისუფალი კონკურენციის პრინციპებისადმი და ინტერესი, რომ მისი ხელშეკრულების გაფორმების პროცესები ეფექტური იყოს, ასევე უბიძგებს პოტენციურ მომწოდებლებთან პროფესიული და ობიექტური ურთიერთობის შენარჩუნებას.

აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, FCC ჯგუფმა შეიმუშავა საჩუქრებისა და მასპინძლობის ეს პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს განსაზღვროს მკაფიო პრინციპები კომპანიის მიერ საჩუქრებისა და მასპინძლობის გაცემასა ან მიღებასთან დაკავშირებით.

#### 2. გამოყენების სფერო

ეს პოლიტიკა ვრცელდება FCC ჯგუფის წევრ ყველა კომპანიაზე, ისევე როგორც მის ყველა თანამშრომელზე. თითოეული ქვეყნის ან ბიზნესისთვის შეიძლება შემოღებული იქნას უფრო სპეციფიკური მოთხოვნები, საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ ადგილობრივი ან სექტორული სპეციფიკა არ იძლევა ამ დოკუმენტით დადგენილი პრინციპების გამოყენებისგან გათავისუფლების საშუალებას.

#### 3. ზოგადი პრინციპები



ამ პოლიტიკის მიზნებისათვის, საჩუქრია ნებისმიერი ნივთი, მიუხედავად მისი წარმოშობის წყაროსა, არსისა თუ მახასიათებლებისა, რომელიც გაიცემა უფასოდ და ნებაყოფლობით სოციალური ურთიერთობის ფარგლებში. საჩუქრის აღნიშნული კონცეფცია მოიცავს მასპინძლობას, რაც განიმარტება, როგორც მიპატიჟებები ღონისძიებებზე და კულტურულ ან სპორტულ შეკრებებზე, სოციალურ ან დასვენების მიზნით გამართულ ღონისძიებებზე, სადილებზე ან მოგზაურობაში, იმ პირობით, რომ ისინი არ არის ორგანიზაციულ საკითხებთან, ტექნიკურ ან სასწავლო ღონისძიებებთან დაკავშირებული.

საჩუქრების გაცემა ან მიღება შესაძლებელია დროდადრო, იმ პირობით, რომ ისინი მხოლოდ თავაზიანობის ფორმის გამომხატველია, შეესაბამება ბიზნესისა და ქვეყნის პრაქტიკას, წეს-ჩვეულებებს და გონივრულია.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქმედებას და თავიდან უნდა იქნას აცილებული ნებისმიერი გარემოება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ეჭვები კომპანიისა და მისი თანამშრომლების ქცევის მიუკერძოებლობაზე, ობიექტურობასა თუ მართლზომიერებაზე.

ამრიგად, საჩუქრები ყოველთვის გაიცემა ან მიიღება გამჭვირვალე გზით და იშვიათად, FCC ჯგუფის არცერთი თანამშრომელი არ მიიღებს ან გასცემს საჩუქარს, რომელიც არ შეესაბამება შემდეგ პრინციპებს:

ა) **საჩუქრის არსის ლეგიტიმურობა:** შეთავაზებული ან მიღებული საჩუქარი უნდა იყოს ლეგიტიმური მისი შინაარსით, ანუ არ უნდა მოიცავდეს ან საგნებს ან საქმიანობას, რომლებიც აკრძალულია კანონით ან შეიძლება ჩაითვალოს შეუსაბამო ან არაპროფესიონალურად. გარდა ამისა, ყველა გაცემული საჩუქარი უნდა შეესაბამებოდეს ამ პოლიტიკას.

ბ) **მოტივაციის ლეგიტიმურობა:** საჩუქარი არ უნდა იყოს მიზანმიმართული ან გამიზნული, რომ მოიპოვოს მომავალი კეთილგანწყობა FCC ჯგუფისგან იმ პირის ან ორგანიზაციის მიმართ, რომელიც გასცემს საჩუქარს ან პირიქით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, საჩუქრის გაცემა ან მიღება თავიდან იქნება აცილებული, თუ საჩუქარი სხვადასხვა მიზეზების გამო შეიძლება ასოცირდებოდეს პროფესიულ გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების მოხდენასთან.

ნებისმიერ შემთხვევაში, FCC ჯგუფის თითოეული ბიზნესი დააწესებს შესაბამისი შემოწმების ღონისძიებებს საჩუქრების მიწოდებასთან დაკავშირებით.

გ) **გონივრულობა:** საჩუქარი უნდა იყოს გონივრული და შეესაბამებოდეს სოციალურ ნორმებს, წეს-ჩვეულებებსა და პრაქტიკებს, რომლებიც საყოველთაოდ მიღებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც FCC საქმიანობს. ანალოგიურად, საჩუქარი უნდა იყოს FCC ჯგუფსა და კლიენტს ან მიმწოდებელს შორის ურთიერთობის პროპორციული, რომელსაც სთავაზობენ ან საიდანაც მიღებულია საჩუქარი. თითოეული ბიზნეს სფერო დაადგენს შესაბამისი შემოწმების ღონისძიებებს საჩუქრების მიწოდებისთვის.

როგორც ზოგადი წესი, მიწოდებული საჩუქრები არის ის, რომლებსაც გონივრული ღირებულება აქვთ, რაც გულისხმობს საჩუქრებს, რომელთა ღირებულება არ აღემატება 150 ევროს<sup>1</sup>, ან მის ექვივალენტს შესაბამის ვალუტაში. FCC ჯგუფის თანამშრომლების მიერ მესამე პირებისთვის მიცემულ საჩუქრებთან დაკავშირებით, 150 ევროს ლიმიტი გამოიყენება ერთი და იმავე პირის მიერ ექვსი თვის განმავლობაში მიღებული ყველა საჩუქრის, მიპატიჟების ან მასპინძლობის ერთობლივ ღირებულებაზე. FCC ჯგუფის თანამშრომლების მიერ მიღებულ

<sup>1</sup> სს „გორგია გლობალ უთილითის“ (GGU) და მისი შვილობილი კომპანიების შემთხვევაში, საჩუქრის ლიმიტად განსაზღვრულია 120 ევრო ან შესაბამისი ეკვივალენტი ლარში.



საჩუქრებთან დაკავშირებით, 150 ევროს ლიმიტი გამოიყენება ექვსთვიანი პერიოდის განმავლობაში ერთი და იგივე კომპანიისგან ან ორგანიზაციისგან მიღებული ყველა საჩუქრის, მასპინძლობის ან მიპატიჟების ერთობლივ ღირებულებაზე.

მასპინძლობის შემთხვევაში, ღონისძიების ადგილმდებარეობის, კონტექსტისა და არსის გათვალისწინებით, გონივრულად ითვლება, როდესაც ღირებულება არ აღემატება ერთ ადამიანზე 75 ევროს<sup>2</sup>.

როგორც შიდა, ისე გარე მონიტორინგი ან აუდიტი შეიძლება განხორციელდეს საჩუქრებსა და მასპინძლობასთან დაკავშირებულ ხარჯებზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას ამ პოლიტიკასთან სათანადო შესაბამისობა.

საჩუქრები, რომლებიც მოიცავს ნაღდ ფულს ან ფულად კონვერტირებად, ფულთან შესადარებელ კომპონენტებს, არ უნდა იქნას მიღებული ან გაცემული (მაგ. სასაჩუქრე ბარათები ან ფასდაკლებები ფიზიკურ ან ონლაინ კომერციულ დაწესებულებებში). საჩუქრები იმ ადამიანებისთვის, რომლებიც არ წარმოადგენენ კომერციულ ურთიერთობას FCC ჯგუფსა და მის კლიენტებს ან მომწოდებლებს შორის, არც მიიღება და არც გაცივება.

საჩუქრების გაცემა და მიღება არ შეიძლება არც დაკავშირებული პირის მეშვეობით, რაც მოიცავს მეუღლეების (ან ანალოგიური პირის), აღმავალი და დადმავალი შტოს ნათესავების და დედამამიშვილების მეშვეობით საჩუქრების გაცემას ან მიღებას.

**დ) ცალმხრივი ხასიათი:** არ შეიძლება საჩუქრების მოთხოვნა ან მიწოდება მესამე მხარისთვის FCC ჯგუფის გარეთ, თუ საჩუქარი იყო მოთხოვნილი.

---

<sup>2</sup> სს „გორგია გლობალ უთილითის“ (GGU) და მისი შვილობილი კომპანიების შემთხვევაში, მასპინძლობის ლიმიტად განსაზღვრულია 60 ევრო ან შესაბამისი ეკვივალენტი ლარში.